

5.8


შემცირდა

აღდგენა (თავი 2)

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი

მცირე და საშუალო




37



132

კვლევის ძირითადი შედეგები



● ბიზნესის განწყობის ინდექსი
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2021 წლის IV კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 5.8 პუნქტით შემცირდა და 30.6-ს გაუტოლდა. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუარესება დაფიქსირდა მშენებლობის (-21.0), მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში. BCI-ის უარყოფითი ცვლილება ნაკლებად ოპტიმისტურმა მოლოდინებმა და გაუარესებულმა მიმდინარე მდგომარეობამ განაპირობა.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით 17.9 პუნქტით შემცირდა და 2021 წლის IV კვარტლისთვის 28.7-ს მიაღწია. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუარესება სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სექტორებში დაფიქსირდა.
- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 2021 წლის III კვარტლის საგრძნობი გაუმჯობესების შემდეგ გაუარესდა და 32.3 პუნქტი შეადგინა. 2021 წლის IV კვარტლისთვის მოლოდინების კლება დაფიქსირდა ყველა სექტორში, გარდა საფინანსო და ვაჭრობის სექტორებისა.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი გაიზარდა 25.7-ით და 44.1 პუნქტს მიაღწია. ეს მარჩვენებელი გვიჩვენებს, რომ ბიზნესების მნიშვნელოვნად გაზრდილი წილი ვარაუდობს ფასების გაზრდას საკუთარ პროდუქტზე. გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ყველა სექტორშია გაზრდილი.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვიჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).


ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, კვარტალური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



სექტორი	კვ IV/21	ცვლილება
მრეწველობა	23.5	▲ +9.8
მშენებლობა	-6.9	▼ -21.0
ვაჭრობა	44.9	▲ +20.9
მომსახურება	34.4	▼ -15.3
სოფლის მეურნეობა	33.4	▼ -8.8
საფინანსო სექტორი	27.3	▲ +6.7
სხვა	14.8	▼ -50.0

2021 წლის მეოთხე კვარტლისთვის მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითად გამოწვევას მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, ხოლო მსხვილი საწარმოების მთავარი პრობლემა, მოთხოვნის არსებულ დონესთან ერთად, კვალიფიციური კადრების სიმცირეა.

ბიზნესსაქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები IV კვარტალი, 2021 წელი

